7276

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 24 ივლისი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 30 (241). ფასი 30 კაპ.

მწერლის თანამშრომლობისათვის საარმიო პრესაში

უდიდესი ძალისა და ზემოქმედების საბრძოლო იარაღს, მტრის განსაგმირავ მრისხანე იარაღს წარმოადგენს ბოლშევიკური ყოველდღიური ბეჭდვითი სიტყვა სამამულო ომის დღეებში. იგი მუდამ დღე შეუსვენებლად და დაუღალავად უხსნის და უმარტავს ჩვენს ხალხს, ჩვენ გმირ, მამაც არმიას ჩვენი სამართლიანი განმათავისუფლებელი ომის მაღალ და კეთილშობილ ამოცანებსა და დანიშნულებას. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა აღვივებს, ანვითარებს და ორგანიზაციულად აყალიბებს იმ პატრიოტულ სულისკვეთებას და აღტყინებას, რამაც მოიცვა საბჭოთა ხალხი ფრონტზე და ზურგში. ბოლშევიკური პრესა არის იმ ერთიანი საბრძოლო ბანაკის პრესა, რადაც იქცა მთელი ჩვენი დიდი სამშობლო.

სამამულო ომის ვითარებაში განსაკუთრებით გაიზარდა სამხედრო-საარმიო გაზეთების ქსელი. წარმოუდგენლად ამაღლდა და გაძლიერდა მისი მნიშვნელობა.

საბჭოთა გაზეთების ოჯახში, — სწერდა ამას წინად ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა", — სამხედრო ბეჭდვითი სიტყვა განსაკუთრებით საპატიო და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანებს ასრულებს. იგი აღაგზნებს და მოუწოდებს საბჭოთა მებრძოლებს მტერთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ, იგი ასრულებს მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნის როლს, იგი პოპულარულს ხდის უმაგალითო გმირობისა და თავდადების უამრავ ფაქტს, იგი შველის მებრძოლებს დაეუფლონ სამხედრო ხელოვნებას. საფრონტო გაზეთები, საარმიო გაზეთები, ცალკე შენაერთებისა და ნაწილების გაზეთები გმირულ საქმეს აკეთებენ. სახელი და დიდება ჩვენს სამხედრო ბეჭდვითს სიტყვას!

სამამულო ომის დღეებში გამრავლდა აგრეთვე ქართულ ენაზე სამხედრო გაზეთების რიცხვი. ქართული სამხედრო გაზეთებიც პირნათლად, ბოლშევიკური პრინციპულობით ასრულებენ კოლექტიური პროპაგანდისტისა და მეომარი მასების ორგანიზატორის მეტად საპატიო როლს. ქართულ სამხედრო გაზეთებში ჭეშმარიტი პატრიოტული გატაცებით და გულმოდგინებით მუშაობენ ქართველი საბჭოთა ჟურნალისტები, ბოლშევიკური პუბლიცისტიკის შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდილი პრესის მუშაკები, რომლებიც წითელი არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან ერთად იზიარებენ ომთან დაკავშირებულ სიძნელესა და გაჭირვებას.

საბჭოთა ჟურნალისტებთან ერთად საარმიო საფრონტო გაზეთებს ჰქმნიან და უძღვებიან თვით რიგითი მებრძოლები და მეთაურები. სამხედრო გაზეთში გამოჩნდა ახალი ტიპის ავტორი — სამამულო ომის უშუალო მონაწილე, ფრონტელი ავტორი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ერთი წლის წინად სწერდნენ სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კამპანიაზე, სტახანოვურ მოძრაობაზე, სკოლებზე, პოლიტგანათლებაზე და სხვ. მოხვდნენ რა არმიაში და ფრონტზე, ახლა ისინი სწერენ იმაზე, რაც დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, იმაზე, რითაც ისინი ცოცხლობენ — სწერენ სამამულო ომზე და მის გმირ ადამიანებზე. მხურვალე სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი,** შეურყეველი რწმენა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში, საბჭოთა ხალხის საბოლოო გამარჯვებაში, სამშობლოსათვის თავდადება და მისთვის ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა გამოსჭვივის ფრონტელ ამხანაგთა ყოველ წერილსა და შენიშვნაში.

ის ფაქტი, რომ ჩვენ სამხედრო გაზეთს ძირითადად ჰქმნიან თვით მებრძოლები და მეთაურები, მეტად სასიხარულო და მისასალმებელი მოვლენაა. მაგრამ საარმიო გაზეთების უფრო მეტ მხატვრულ-პოლიტიკური სიმახვილისათვის აუცილებელია მასში მწერლების — პროზაიკოსების და პოეტების სისტემატური თანამშრომლობა. საარმიო საფრონტო გაზეთებში ქართველ საბჭოთა მწერალს ჯერ კიდევ არ უჭირავს ის ადგილი, რომელიც მას უნდა ეჭიროს. ქართველ მწერალს შეუძლიან საარმიო სამხედრო გაზეთში შეიტანოს უფრო მეტი სიცხოველე, სიმკვეთრე, სიმახვილე. მას შეუძლიან ისარგებლოს იმ მდიდარი გამოცდილებით, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში შეიძინეს სამხედრო გაზეთებში სისტემატურად მომუშავე რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა და სხვა ჩვენი მოძმე ერის მწერლებმა, რომელთა პატრიოტული ლექსები, წერილები, მხატვრული ნარკვევები, მოთხრობები ახალისებენ საარმიო საფრონტო გაზეთების ფურცლებს, აცნობენ რა რიგით მებრძოლებს ჩვენი შესანიშნავი მფრინავების, ტანკისტების, არტილერისტების, მსროლელებისა და კავალერისტების საგმირო საქმეებსა და გამოცდილებას. ქართველმა საბჭოთა მწერალმა თავისი ლექსით, ნარკვევით, სატირით და იუმორით უნდა გაამრავალფეროვანოს სამხედრო საარმიო გაზეთი, ჩვენ უკვე გვაქვს ქართულ საარმიო გაზეთებში ქართველი პროფესიონალი მწერლების მონაწილეობის რამდენიმე მაგალითი. ამას წინათ სხვადასხვა ნაწილში მივლინებულმა მწერლებმა, მათ შორის, შ. დადიანმა, ი. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ი. მოსაშვილმა, რ. მარგიანმა, რ. ქორქიამ, ს. მთვარაძემ, გ. კაჭახიძემ, ა. თევზაძემ და სხვებმა მოათავსეს თავიანთი ლექსები, ნარკვევები, წერილები და სხვ. ამით ამ გაზეთების ნომრები ბევრად უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა. გაძლიერდა მათი ზეგავლენის ძალაც არმიელ მკითხველებზე და ამ უკანასკნელთა ინტერესი თავიანთ გაზეთისადმი. ქართველ მწერალთა თანამშრომლობას სამხედრო გაზეთში უნდა მიეცეს უფრო სისტემატური და ყოველდღიური ხასიათი. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მუდმივად უნდა მიამაგროს სამხედრო გაზეთებზე მწერლები. არ უნდა დარჩეს არც ერთი სამხედრო გაზეთი, რომელსაც მუდმივ თანამშრომლად ადგილზევე არ ეყოლება ერთი ან ორი პროფესიული მწერალი. ამავე დროს უნდა მოგვარდეს ჩვენი ცნობილი მწერლების მიერ სამამულო ომის აქტუალურ თემებზე დაწერილი ლექსების, ნარკვევების, პუბლიცისტური წერილების სისტემატური მიწოდება სამხედრო გაზეთებში მოსათავსებლად. სამხედრო გაზეთის საშუალებით მწერალი ყოველდღიურად უნდა ელაპარაკებოდეს მეომრებს, მწერლის მგზნებარე სიტყვა ყოველდღიურად უნდა აღვივებდეს მებრძოლის გულში სამშობლოსადმი თავდადების სულისკვეთებას.

დეე, საბჭოთა მწერლის მიერ დაწერილი ლექსი და სიმღერა, მხატვრული ნარკვევი და მოთხრობა შევიდეს საბჭოთა მეომრის შეიარაღების არსენალში და დაეხმაროს მას ვერაგი მტრის განადგურებაში.

◇◇◇

„ბავშვობის და ყრმობის" ახალი გამოცემა

გმირულ ლენინგრადში საგამომცემლო მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. გამოდის როგორც მასობრივი პოლიტიკური, ისე მხატვრული ლიტერატურა.

ახლახან დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის ეპოპეა „ბავშვობა და ყრმობა", რომელიც სთარგმნა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა. ეს ეპოპეა მეორედ გამოიცა ლენინგრადში.

წიგნი გამოცემულია ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ.

„გმირული დღეები"

მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ" გამოსცა ალ. აბაშელის ახალი ლექსების წიგნი „გმირული დღეები". პატარა წიგნში მოთავსებულია პოეტის მიერ სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ლექსები. ყოველი მათგანი მაღალი პატრიოტული გრძნობით არის გამსჭვალული, აღვივებს და აძლიერებს მტრისადმი ზიზღსა და სიძულვილს.

კრებულში მოთავსებული ლექსებიდან სჩანს, რომ პოეტი მეტად მახვილი მხატვრული სიტყვით დროულად ეხმაურებოდა სამამულო ომის ცალკეულ ეტაპებსა თუ მომენტებს, ცალკეულ საკითხებს.

წიგნში დაბეჭდილია „ცამ დაიქუხა გუშინ", „ჩემს კალამს", „დედა და შვილი", „დედის წერილი", „ხევსური ტანკისტი", „შევმუსროთ მტერი", „ვიყოთ ფხიზელნი", „სახალხო ლაშქარი", „ლენინის ქალაქს", „ბალტიკის მეზღვაურებს", „ბელადის სიტყვა", „ლაპარაკობს მოსკოვი", „მრისხანე ანგარიში", „წითელ-დროშოვანი", „ომში მიმავალ ქართველ მეომარს" და სხვ.

წიგნი სრულდება პოეტის მიერ რამდენიმე წლის წინად დაწერილი მოზრდილი ლექსით „გერმანიაში".

წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ღირს 3 მან. და 80 კაპ.

დიდება და სახელი ჩვენი დიადი სამშობლოს მამაც შვილებს, რომლებმაც თავიანთი გმირობით განამტკიცეს ხალხთა სტალინური მეგობრობა — ჩვენი გამარჯვების ეს ურყევი საფუძველი



საბჭოთა კავშირის გმირი მ. გახოკიძე.

სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი.

გმირის ნაამბობი

იოსებ ნონეშვილი

ჩვენ ოთხნი ვიყავით... წინ ცეცხლი ვარვარა,
ტყვიების გრიგალით ცა გადაბუგული,
უკან კი მეწამულ ტალღების მარმარით,
ნისლაყრილ ზღვა-სივრცის ველური გუგუნი.

ჩვენ ოთხნი ვიყავით... შომინი, პეტროვი,
ვაჟკაცი ჯამბაი, ჩასხმული ფოლადად.
საღამო იწვა და ვით ფიცხი თეთრონი,
ზღვის ტალღა ქიხვინით ნაპირებს ტორავდა.

და მოდგა მტრის ჯარი ზარით და განგაშით.
...ან გმირად სიკვდილი ან მტრისგან წამება!...
ო, თითქოს მყოლოდეს ათასი ვაჟკაცი,
ავმართე ხმალი და გავეცი ბრძანება.

და ოთხნი, სამშობლოს მზეს შენაფიცები,
მტრის სანგარს ვეკვეთეთ საბრძოლო ძახილით.
ჩვენს ხმაზე უეცრად მოზღვავდნენ ფრიცები,
და დიდხანს სცელავდა მათ ჩვენი მახვილი.

ბრძოლაში ვიდექით მიუვალ კლდესავით,
სიცოცხლე ვინატრეთ დუშმანთა საულეტად.
ელვა კი არ იყო, ღრუბლებში მკვესავი,
ეს ჩვენი მახვილი რისხვის ალს აჩენდა.

თუმც წინაპარივით ბეგთარში არ ვიჯექ,
არც ფარით ვიფარე ფოლადის პერანგი,
მტერს ტყვიამფრქვეველი ხელიდან წავგლიჯე
და მიწას გავაკარ რვაასი ვერაგი.

მე თითქოს ბრძოლაში დედის ხმა მესმოდა:
„მტარვალმა სიკვდილის ხელი ვერ შეგახოს,
პირდაპირ მიუხტი, დაჰკარ და ესროლე.
და ზურგში თუ დაგჭრეს, შვილად არ მენახო!".

სულ ოთხნი ვიყავით... ვიდექით კლდესავით,
სიცოცხლე ვინატრეთ დუშმანთა საულეტად.
ელვა კი არ იყო ღრუბლებში მკვესავი,
ეს ჩვენი მახვილი რისხვის ალს აჩენდა!

გმირი

ის ლაპარაკობს ძუნწად, უბრალოდ, მაგრამ მგზნებარედ და მიმზიდველად.

ჩვეულებრივი სიტყვებით მოგვითხრობს სულის სიღრმემდე ჩამწვდენ ეპიზოდებს. შთამაგონებელი სიდინჯით, თეატრალური პათოსის გარეშე გიხატავთ სამშობლოს მტრებთან ვაჟკაცური ბრძოლის სურათებს და გრძნობთ, რომ რაღაც უხილავი ძალით გბოჭავთ მისი საუბარი, მისი არწივისებური გამოხედვა, დარბაისელი კილო და ტემბრი. და არა მარტო განიცდით მოსმენილს, არამედ, თითქოს ხედავთ კიდეც გმირის მოქმედებას, მის თანამებრძოლთა ვაჟკაცურ საქმეს, სამშობლოს დიდებისა და პატივის დასაცავად შესრულებულს.

და ახალი ძალით ღვივდება გულში მტრისადმი მრისხანე სიძულვილი, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავდადების უანგარო გრძნობა.

გმირობა ჩვენი ხალხის შემეცნებაში ყველაზე უმაღლესი თვისებაა ადამიანისა, რადგან გმირის პიროვნებაში შეერთებული და განსახიერებულია თვით ხალხის უწმინდესი მისწრაფებანი.

ამიტომაა, რომ მუდამ გულსავსე, მუდამ სრული ხმით უმღერის მათ, ადიდებს, უკვდავჰყოფს, სიყვარულის უჭკნობი დაფნით მოსავს მათ სახელს.

განსაკუთრებით განუზომელია ჩვენი ხალხის სიყვარული საბჭოთა კავშირის სამამულო ომის გმირებისადმი, იმ თავდადებულ შვილებისადმი, თავისი სისხლი და სიცოცხლე დაუზოგავად რომ მიაქვთ სამშობლოს სამსხვერპლოდ და ჩვენი დიდი ქვეყნის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს საამაყო ვაჟკაცობით ამდიდრებენ.

ასეთი გმირის სახელი, ხალხის ასეთი სიყვარული მოიხვეჭა მიხეილ ლევანის-ძე გახოკიძემ — აი ამ უშიშარმა ვაჟკაცმა, რომელიც ასე გულდინჯად მოგვითხრობს თავისი ქარიშხლიანი ბრძოლების ამაღლევებელ ეპიზოდებს.

მეტად მკაცრი და მრავალფეროვანია ეს ეპიზოდები. ისინი ერთმანეთს მხოლოდ იმით ჰგვანან, რომ ყოველი მათგანიდან სიკვდილი და საშინელება იყურება ხანძრიანი თვალებით.

კიდევ ერთით: ყოველი ეპიზოდი დაკავშირებულია მხოლოდ სამშობლოს დაცვის მაღალ გრძნობასთან, გაცოფებული ფაშიზმის განადგურების უტეხ სურვილთან და ურყევ რწმენასთან.

ამ სურვილებით, ამ რწმენით სცხოვრობს დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა და სახელოვანი გმირების ვაჟკაცური მაგალითებით აღფრთოვანებული თავდადებულად იბრძვის გამარჯვებისათვის.

მიხეილ გახოკიძე ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია ამ გმირებისა.

ის ხალხის წიაღიდან წარმოშობილი გმირია, **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ აღზრდილი და დავაჟკაცებული. მისი ცხოვრება სოფელში დაიწყო. ღარიბი გლეხის მძიმე ხვედრი დაუხვდა მამის ქოხში. მას სწავლა სწყუროდა, ახალი ცხოვრების სურვილი ეძახდა, მაგრამ სიღარიბის მძიმე მარწუხი ბოჭავდა მის სურვილებს.

და აი 11 წლის ბიჭს მოუსწრო საბჭოთა ხელისუფლებამ. მოუსწრო და იშვილა, გზა გაუკაფა ახალი ადამიანის, ურყევი პატრიოტის, მტკიცე ბოლშევიკის შესანიშნავ სკოლაში გაატარა და თავისი ქვეყნის საამაყო შვილის ღირსებებით აღჭურვა.

სამამულო ომის ფრონტზე მიხეილ გახოკიძე მივიდა როგორც გამობრძმედილი ბოლშევიკი. იგი უმცროსი პოლიტხელის თანამდებობაზე გაამწესეს სევასტოპოლის ერთ-ერთ ალყაშემორტყმულ უბანზე. ეს დიდად საპატიო და პასუხსაგები დავალებაა და მიხეილ გახოკიძეს სავსებით შეგნებული ჰქონდა ამოცანის მთელი სირთულე ბრძოლის ბობოქარ პირობებში.

მას ორგვარი იარაღით უხდებოდა ბრძოლა — საჭურველითა და სიტყვით. ორივე ამ იარაღს გახოკიძე მარჯვედ ხმარობდა. ბასრი იყო მისი სიტყვაც და მახვილიც და ორივეს თავისი საამაყო ნაყოფი მოჰქონდა: ნაწილი, სადაც მიხეილ გახოკიძე უმცროს პოლიტხელად ითვლებოდა, ბრძოლაშიც და პოლიტიკური მომზადების დარგშიც სამაგალითო იყო. გახოკიძე სიმტკიცის, სიმამაცის, უშიშროების პირად თვისებებს უნერგავდა თითოეულ მებრძოლს, ზრდიდა მათ საკუთარი მაგალითებით.

გახოკიძეს ახასიათებს ნამდვილი გმირის ნიშანდობლივი თვისება: იგი ზიზღით უყურებს სიკვდილს, შიშს, მერყეობის გრძნობას. მას წამს, რომ ბრძოლაში ყველაზე ადრე მხდალი ადამიანი დაიღუპება, რომ შიში ვერ იხსნის სიკვდილისაგან, რომ გამბედაობა და სიმტკიცე იარაღზე უფრო მეტად ამარცხებს მტერს. ამ გრძნობას იგი ბეჯითად უზიარებდა თვითეულ მებრძოლს, მათი უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა და მათთან ერთად იმკიდა სახელოვან გამარჯვებებს ჩვენს მიწა-წყალზე ვერაგულად შემოჭრილ მტრებზე.

განსაკუთრებით შეეთვისა მას ფრონტზე სამი გმირი თანამებრძოლი — ჯამბაევი, პეტროვი და შომინი. ეს ვაჟკაცები მუდამ მის გვერდით იყვნენ მძიმე ბრძოლებში, როცა გახოკიძე სასწაულებს ახდენდა გამხეცებულ ფაშისტების გასანადგურებლად.

— ექვს თვეს ვიბრძოდი ალყაშემორტყმულ გმირულ ქალაქის ფრონტზე, — მოგვითხრობს გახოკიძე,— ჩემი ცხოვრების ყველაზე მღელვარე და ხიფათიანი დღეებით შევესისხლხორცე მის ბედს და შემიძლიან ვსთქვა, რომ იმაზე დიდი კმაყოფილება და ბედნიერება არ მიგრძვნია არასოდეს, როცა ჩვენი მცირერიცხოვანი ნაწილებით ხუთჯერ და ათჯერ მეტ მოზღვავებულ მტერს ვანადგურებდით. არ ვიცი, სახელდობრ რას ეწოდება სიმამაცე, ვიცი, მხოლოდ ის, რომ სამშობლო უნდა დავიცვათ, უნდა გავანთავისუფლოთ ფაშისტ ყაჩაღებისაგან და ამას ვაკეთებდი თავდაუზოგავად, რამდენადაც შემეძლო. მოხარული ვარ, რომ მტრებმა სიცოცხლე ვერ წამართვეს, ეს სიცოცხლე მე კიდევ მჭირდება ჩემი ქვეყნის დასაცავად და მას მხოლოდ ამ მიზნით გამოვიყენებ. მე კიდევ შევხვდები ჰიტლერელ არამზადებს და ვუჩვენებ მათ, თუ როგორი დახვედრა შეუძლიან საბჭოთა ხალხის შვილს მომხვდურ ბანდიტებისათვის.

ამ სიტყვებს გახოკიძე გვეუბნება, როგორც თავის ყოველდღიურ სამოქმედო პროგრამას და ჩვენ ვიცით, რომ მას ძალიც შესწევს ქადილისა, შეუძლიან საქმით შეასრულოს ისინი.

ორიოდე შტრიხი მისი მამაცური ეპიზოდისა, რაც სისრულით წარმოგვიდგენს მ. გახოკიძეს, როგორც გმირს, როგორც მაღალბუნებოვან საბჭოთა პატრიოტს, რომელსაც საკუთარი თავი დავიწყებული აქვს და ახსოვს მხოლოდ სამშობლო და ხალხი:

„ერთ-ერთ უბანზე ფაშისტებმა თავიანთ ჯარისკაცების გვამები გადმოლახეს და წინა კიდის სანგრებში შემოიჭრნენ. გეგონებოდათ, რომ მტრის მხეცური კვეთება საბოლოოდ ჩაახშობდა იმ საბჭოთა მეომრების მცირე ჯგუფის წინააღმდეგობას, რომლებიც ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში იგერიებდნენ აქ მტრის გააფთრებულ იერიშებს.

— დაჰკა ფაშისტ ქვეწარმავალთ!— შესძახა მ. გახოკიძემ თავის მებრძოლებს და გადაეშვა კიდეც იგი გერმანელ ჯარისკაცთა წყებებში და თან გაიყოლია დანარჩენი მებრძოლები".

თოფის კონდახებითა და ხიშტებით მოსპეს გერმანელები, არც ერთი ფაშისტი ოკუპანტი ცოცხალი აღარ წასულა უკან. მტრის ასზე მეტი გვამი დარჩა თხრილში. გახოკიძე მარტო შეიჭრა ბლინდაჟში და როცა რამდენიმე ათეული ფაშისტი მოსპო, ბოლოს ტახტის ქვეშ შემალული ორი გერმანელი ოფიცერი აღმოაჩინა. ისინი ავტომატშემართულნი დაბნევით შეჰყურებდნენ გმირ მებრძოლს, მათ შეეძლოთ ერთი თითის დაჭერით აემოქმედებინათ ავტომატები და დაეცხრილათ გახოკიძე, მაგრამ მისმა გამჭრიახობამ თავზარი დასცა არამზადებს. კონდახის ცემით გამოათრია ისინი და იარაღი აჰყარა.

ერთმა ფაშისტმა ოფიცერმა დამტვრეული რუსულით ოქროები შესთავაზა:

— ო, მაინ გოტ, ოღონდ გამიშვით და ოქროებით ჯიბეებს აგივსებთ.

— ოქროები კიარა, შენ ჩემი ხალხის სისხლი გმართებს, არამზადავ, ჩვენ სამშობლოს ოქროებზე არა ვყიდით! — მრისხანედ შესძახა გახოკიძემ.

დატყვევებული და იარაღაყრილი ფაშისტები შტაბში გააგზავნა.

იმ დღეს გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში გახოკიძის ქვეგანაყოფზე, მაგრამ სამჯერვე განადგურებულ იქნენ.

საგულისხმოა კიდევ შემდეგი ეპიზოდი:

ერთ-ერთ უბანზე ფაშისტების დაახლოვებით ერთმა ბატალიონმა გააფთრებული იერიში მიიტანა გახოკიძის ქვეგანაყოფზე. მებრძოლებმა ვაჟკაცურად მოიგერიეს სამი იერიში. ჩვენი ერთი ოცეული მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მის დასახმარებლად გაეშურა მიხეილ გახოკიძე. მასთან იყვნენ ჯამბაევი, შომინი და პეტროვი. ვაჟკაცები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც მუსრი გაავლეს გათავხედებულ მტერს. მთელ დღეს ქვეგანაყოფი გმირულად იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს. მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა და უკუაგდო.

უსწორო ბრძოლის დროს მტრის მრავალრიცხოვანი ძალებით გარშემორტყმული გახოკიძე და მისი სამი ამხანაგი დაიჭრნენ. სისხლისაგან იწურებოდნენ გმირები, მაგრამ მტერი მაინც არ გადმოუშვეს თავიანთი ხაზიდან. ხელყუმბარებით და ხიშტით თავზარსა სცემდა გახოკიძე ფაშისტ არამზადებს, და მიაღწია იმას, რომ მძიმედ დაჭრილმა გარშემორტყმული მტრები გაანადგურა და მხოლოდ ამის შემდეგ დასტოვა ბრძოლის ველი. მაგრამ ეს დროებით. მიხეილ გახოკიძე სუნთქავს იმ იმედით, რომ კვლავ მალე შეხვდება ვერაგ მტერს და სამშობლოს სხვა მამაც დამცველებთან ერთად, გმირულად იბრძოლებს ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ფაშისტ ოკუპანტებისაგან.

სიკო ფაშალიშვილი

სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივი ქართულ საბჭოთა პოეზიაში

ს. ჭილაია

სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, მისი დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვის იდეა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთავარი თემაა.

და არა მარტო დღეს, არამედ ქართული ლიტერატურის განვითარების მთელს მანძილზე, დასაბამიდან დღემდის, ყველაზე სრულფასოვან, ყველაზე საპატიო თემას პატრიოტიზმის თემა წარმოადგენდა. ჩვენი დიდებული ლიტერატურა მუდამ პატრიოტული შთაგონების უძლიერესი იარაღი იყო. იგი სათუთად ზრდიდა მილიონთა გულში სამშობლოსათვის თავდადებისა და მისადმი სიყვარულის ჩაუქრობელ გრძნობას.

საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი იდეით შთაგონებული თანამედროვე პოეზია ისწრაფვის, რაც შეიძლება სრულყოფილად გამოსახოს, ზარდოს და აღვივოს დედა-სამშობლოს სიყვარულის უდიდესი გრძნობა.

აღორძინებულ სამშობლოსათვის თავდადების წმინდათა-წმინდა იდეა ამოძრავებს პოეტ გ. ტაბიძეს, როდესაც იგი სამშობლოს მიმართავს:

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ".

პოეტმა ი. გრიშაშვილმა ეს საყოველთაო განწყობილება შემდეგნაირად გამოხატა:

„სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი,
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იკრეფს.
გულო, მებრძოლებს გაუტოლადდი,
თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს".

სამშობლოსათვის თავდადების ამგვარი განწყობილება მთელი თანამედროვე პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა.

ჩვენი ხალხი მზად არის „ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი" გაიღოს სამშობლოს დასაცავად. მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის, ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და განწყობილებაა გამოხატული პოეტ ი. მოსაშვილის სიტყვებში:

„ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით
მტკიცედ
ღამეა, დღე, თუ დილა სისხამი,
რომ შენს ძახილზე სამშობლოს მივცეთ
ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი".

ჩვენს პოეტებს გულწრფელად უყვართ დედა-სამშობლო და მზად არიან დაიცვან იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საკუთარი მკერდითაც.

საბჭოთა პოეზიის მთელი მხატვრული ძალა ერთ მიზანს ემსახურება: ცხოველმყოფელი გრძნობით დაგვიხატოს ჩვენი ხალხის სიყვარული და თავდადება სოციალისტურ სამშობლოსადმი. პატრიოტული თავდადება, საკუთარი სიცოცხლის გმირულად გაწირვა თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად საბჭოთა ხალხის საყოველთაო ღირსებას შეადგენს. ამ ღირსების გრძნობას ჭეშმარიტი შემოქმედების გზნებით ზრდის საბჭოთა პოეზია. ამ გრძნობით შთაგონებული პატრიოტული აღტყინებით უმღერიან ჩვენი პოეტები დედა-სამშობლოს.

ქართული მწერლობა მთელი თავისი სასიცოცხლო ინტერესებით ამოუდგა გვერდში საბჭოთა ხალხს და ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეს სჭედს.

ჩვენს სამშობლოზე გერმანიის ფაშისტური ურდოების თავდასხმის მეორე დღის საბრძოლო განგაშად გაისმა პოეტ ა. აბაშელის სიტყვები:

„ცამ დაიქუხა გუშინ,
მეხი გავარდა ბევრი,
დილა გათენდა ქუში
და ფეხზე დადგა ერი:
ცამ დაიქუხა გუშინ,
კარს მოგვადგა მტერი".

პატრიოტული აღტყინებით შთაგონებული პოეტი მოუწოდებდა ჩვენს ხალხს დედა-სამშობლოს დასაცავად. ჩვენი ხალხის ძალაში, სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების გრძნობაში დარწმუნებული საბჭოთა პოეტი გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ ჩვენი ხალხი სისხლით დაიცავს თავისუფლების დიად მონაპოვარს:

„განა იმისთვის მოვსპეთ
შავი ჯალათი ძველი,
განა იმისთვის ვმოსეთ
სინათლით მიწა ვრცელი,
რომ განთიადის მომსწრეთ
კვლავ დაგვეფინოდა ბნელი?"

არა, ეს არასოდეს არ მოხდება, ვერავინ წაგვართმევს ძალით ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ღირსებას. საკუთარი მკერდით დაიცავს ბელადის დაძახებაზე ფეხზე დამდგარი საბჭოთა ხალხი დიად სამშობლოს. პოეტთან ერთად ამ სიტყვას მთელი ჩვენი ხალხი იმეორებს. ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება გამსჭვალულია გამარჯვების გარდუვალობის რწმენით. საბჭოთა პოეზიაც ამ რწმენას აღვივებს და ზრდის ჩვენს ხალხში.

სამშობლოს დასაცავად გვიხმობენ ალიო მაშაშვილის მგზნებარე პატრიოტული სიტყვები:

„სტალინის დროშა გავშალოთ,
ორბის ფრთა ნაპერწკლოვანი.
დავძახოთ ბრძოლის ყიჟინა,
მრისხანე, ხმა ცეცხლოვანი,
მტერს დავცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი!"

ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე გმირულად იცავდა თავს. მას არა ერთი და ორი სამართლიანი ომი უწარმოებია სამშობლოს დასაცავად. ქართველმა ხალხმა სახელოვანი ტრადიცია შექმნა ამ მხრივ. ეს დიდებული ტრადიცია ახალი ძალით ცოცხლდება ეხლა, როდესაც ჩვენი ხალხი კვლავ აღსდგა სამშობლოს დასაცავად, ეხლა, როდესაც ისტორიაში ყველაზე უფრო სამართლიან ომს აწარმოებს. ჩვენი სახელოვანი ტრადიცია გზას გვინათებს ვერაგ მტერთან ბრძოლაში.

ჩვენი დიდებული წარსული, სამშობლოსათვის უთანასწორო ბრძოლაში განწირულ გმირთა საქმეები ამ სამამულო ომის დიად დღეებში კვლავ მოგვიწოდებენ შორეულ წარსულიდან: „მტერს აღარ მივცეთო კარგი მამული". ჩვენ წინაპართა საგმირო საქმეები გვაქეზებენ დღეს საგმირო საქმეებისათვის.

ჩვენს ხალხს წარსულის მრისხანე დღეებში ვაჟკაცურად დაუცავს თავისი დამოუკიდებლობა და ღირსება. მით უმეტეს დღეს დაიცავს იგი მოძმე ხალხებთან ერთად თავის წმინდათა-წმინდას, თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

„აღექით, ძმებო, სამშობლოს ვიცავთ,
ჩვენ გზას გვინათებს მამული ჩვენი!
არვის დაუთმოთ ტკაველი მიწაც,
რასაც ქარტიით ათბობდა ბრძენი!
ძმებს ამოუდგეთ, შვილებო ქართლის,
დავიცვათ სითბო მშობლიურ კერის!
სტალინისათვის, მამულისათვის
ვიბრძოლოთ, მოვსპოთ ვერაგი მტერი!"
(ს. ჩიქოვანი).

ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვის გმირული სულით აღაგზნებს საბჭოთა პოეზია ჩვენი ხალხის გონებასა და გრძნობას.

ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში ათეულ ათასობით დაიბადნენ გმირები, გმირები რომლებიც ყოველგვარ განსაცდელს ძლევენ, გმირები, რომელთა წინაშეც სიკვდილის შიში არარაობად იქცა. სამამულო ომის გმირები საბჭოთა პატრიოტული პოეზიის ყველაზე საპატიო თემად გადაიქცნენ. ამ თემაზე მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შეიქმნა.

სამშობლოსათვის თავგანწირვისა და ვერაგი მტრის წინაშე ქედმოუხრელობის უმაგალითო გმირული საქციელი, რომელიც ქართველი ხალხის შვილმა პირტახიამ ჩაიდინა, შარავანდედით შემოსა ქართულმა პოეზიამ. სამშობლოსათვის თავგანწირულ პირტახიას გმირული სული პოეტური ძალით ცოცხლდება გ. ლეონიძის ლექსში „მხედარი პირტახია":

„მოგკლენ და მაინც არ გატყდი.
გმირობამ გაგაგულისა...
შენ გზრდიდა დედის სალი რძე,
ფესვი სამშობლოს გულისა".

ასეთივე ძლიერი ემოციური სურათი შექმნა ს. ჩიქოვანმა ლექსში „პირტახია". გმირმა მტრის ტყვეობასა და ლაჩრულ მორჩილებას გმირული სიკვდილი არჩია. სამშობლოს სიყვარულისა და ღირსების დაცვის გრძნობით შთაგონებული გმირი მტერს ვაჟკაცურ პასუხს გასცემს და მამულისათვის გმირულად მოკვდება. მაგრამ უკვდავია საბჭოთა გმირის სახელი. სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები მარად იცოცხლებენ მილიონთა გულში.

სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა საქმე აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს ახალი და ახალი საგმირო საქმეებისათვის. მათი გმირული სული მოუწოდებს ჩვენს ხალხს— შური იძიოს ვერაგ მტერზე.

საბჭოთა ხალხი არავის დაუთმობს სისხლით, ბრძოლით და შრომით მოპოვებულ თავისუფლებას. ქვეყანა, რომელსაც სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში დაუცავს თავი, ქვეყანა, რომელიც განთავისუფლებულ მშრომელთა მარჯვენას აუშენებია, ქვეყანა, რომელსაც დიდი ბელადი **სტალინი** მიუძღვის,— ამ ქვეყნის დამონება არავითარ ძალას არ შეუძლიან.

სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ყველა მონაპოვარი. **სტალინის** სახელს უკავშირდება ჩვენი აღორძინებული თავისუფალი სამშობლოს წინსვლა და წარმატება. **სტალინმა** ხორცი შეასხა კაცობრიობის საუკეთესო შვილთა მარადიულ ოცნებას. ეს აზრი შემდეგნაირად გადმოგვცა ი. აბაშიძემ:

„იგია ქვეყნების ბედის სარდალი,
კაცთა უკეთეს მიზნის მსახური,
მან მოიტანა ქვეყნად მართალი
თავისუფლება და გაზაფხული".

სტალინი ჩვენი სამშობლოს საბრძოლო დროშაა, მისი სიდიადისა და ძალის გამომხატველია.

აღორძინებული, თავისუფალი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავდადების უჭკნობი გრძნობა აღაგზნებს საბჭოთა პოეტებს. ეს მგზნებარე პატრიოტული გრძნობა სამშობლოს დაცვისა ცხოველმყოფელი ძალით ედება საბჭოთა ხალხს და მსჭვალავს გამარჯვების უჩრდილო გრძნობით, მოუწოდებს ჩვენს ხალხს — გმირულად დაიცვას ჩვენი დედა-სამშობლო, მისი დამოუკიდებლობა და ღირსება.

ჩემს ლურჯას

სევერიან ისიანი

პოლიტხელი, ბატარეის კომისარი

გადარუჯული ცეცხლით ველები
და მწვანე მთების მხარგაშლილობა...
შენ დამცქეროდი გულგახელებით,
თითქოს გტკიოდა ჩემი ჭრილობა.

ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი
და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს
მალე
შენი ჭიხვინი გულშემზარავი
მომაგონდება და მაქრიალებს.

მე განშორებას ბევრს მოვესწარი,—
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება.

ეს მეგობრობა რას შევადარო, —
საყვარელ მიწას ერთად ვიცავდით.
ჩემო ლურჯაო, ცეცხლში ნატარო,
ხსოვნას შერჩები კუბოს ფიცრამდი.

შენი მხედარი ისევ მხნედ არი,
შენთან იყო და შენთან დარჩება.
ბრძოლები გველის უფრო მედგარი
მშობელი ქვეყნის გადასარჩენად.

ბავშვების მკვლელებს მივსდევდით
მაშინ,
ზეცა რომ იქცა ცეცხლის ენებად.
აქ, ჰოსპიტალის მყუდროებაში,
მე არასოდეს მომესვენება.

ფანჯრებს შორდება მზე ჩამავალი,
შორი ღრუბლების ზღვაში ვარდება.
ვფიცავ, არ მინდა მე სხვა წამალი,—
მომარჩენს ერთი განავარდება.

ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს
მალე
ტყვიის წვიმაში გამოვლილები.
კვლავ დაგიკოცნი ჭკვიანურ თვალებს
და დუშმანს რისხვად მოვევლინებით!

ახალი ინგლისური ანტიფაშისტური რომანები

ინგლისის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია ახლახან გამოცემულმა რობერტ გრინვუდის რომანმა „მისტერ ბანტინგი მშვიდობისა და ომის დღეებში". ამ ნაწარმოებმა პირველი ლიტერატურული პრემია მიიღო. რომანში ასახულია ომის წინადროინდელი ინგლისის ცხოვრება, რომლის მშვიდობიან მიმდინარეობას სწყვეტს ომი ფაშიზმთან. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობდა ომამდე ერთი ინგლისელი წვრილი მოხელის ოჯახი, ისეთი ოჯახი, რომელიც დამახასიათებელია მთელი ინგლისისათვის! ამ ოჯახის მეთაური ბანტინგი თანდათან უქმნის თავის ოჯახს კეთილდღეობას, იგი საგრძნობ წარმატებასაც აღწევს — განათლებას აძლევს თავის შვილებს. ოჯახური ცხოვრების ლხინი და ჭირი შეადგენს ამ რომანის პირველი ნაწილის შინაარსს. მეორე ნაწილში ბანტინგის ოჯახს ისევე, როგორც მთელ ინგლისს, მთელი თავისი საშინელებით თავს დაატყდება ომი. იმსხვრევა ბანტინგის ოჯახის, ამ პატარა სამყაროს ჯებირები და მისი წევრები უკვე გრძნობენ თავს იმ მთლიანი დიდი ორგანიზმის მოქალაქეებად, რომელსაც ინგლისელი ხალხი ეწოდება. ბანტინგის ოჯახი ირაზმება, იმსჭვალება ფაშიზმისადმი სასტიკი სიძულვილით და მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენით. რომანში მოთხრობილია ბანტინგის ოჯახის ყოველი წევრის თავგადასავალი ფრონტსა და ზურგში.

ჰიტლერიზმზე საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა ახასიათებს ინგლისელი მწერლის იუჯინ ლორკას ახალ რომანს „თავდასხმა ღამით", რომლის რუსული თარგმანი უკვე იბეჭდება ჟურნალ „ინტერნაციონ. ლიტერატურაში" და ერიკ ნაიტის რომანს „ეს ყველაფერს აღემატება". ამ უკანასკნელი ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟი, რომელიც პაციფისტურად არის განწყობილი და რომელსაც არა სურს ომში მონაწილეობის მიღება, მიდის იმ შეგნებამდე, რომ აუცილებელია მანაც თავისი ადგილი დაიჭიროს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის რიგებში. მწერალი ამ ნაწარმოებში დიდ ყურადღებას აქცევს ინგლისელი ხალხის დარაზმულობის პროცესის გამოხატვას, ინგლისელ ხალხში მეოცე საუკუნის კანიბალებისადმი დაუცხრომელი სიძულვილის გრძნობის წარმოშობასა და სწრაფი ზრდის ასახვას.

ამ თვენახევრის წინათ ლონდონში გამოვიდა სახელგანთქმული მხცოვანი ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის ახალი რომანი „თქვენ არ უნდა იყოთ მეტის-მეტად ფრთხილი". რომანის მიზანია—დაძაბოს მთელი ინგლისის ხალხის ნებისყოფა, ყველა მისი ღონისძიება კაცობრიობის მტერზე, ჰიტლერულ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებისათვის. ინგლისური კრიტიკა მეტად დიდად აფასებს მოხუცი ინგლისელი მწერლის ამ ახალ საბრძოლო ნაწარმოებს.

ბერნარდ შოუ მიკროფონთან

ძველი და ახალი თაობის ყველა ინგლისელმა მწერალმა მონახა თავისი ადგილი ჰიტლერიზმთან მებრძოლ თავისუფლების მოყვარე ინგლისელი ხალხის რიგებში. სამხედრო თემა გადაიქცა დღეს მთავარ თემად ყველა ლიტერატურული ჟანრისათვის ინგლისში, გადაიქცა მწერალთა საზოგადოებრივი გამოსვლების ლეიტმოტივად. ინგლისური ლიტერატურის უხუცესი წარმომადგენელი ბერნარდ შოუ, რომელსაც წელს 85 წელიწადი შეუსრულდა, დაუღალავად თანამშრომლობს პრესასთან და ძალიან ხშირად გამოდის მიკროფონთან იმ საკითხებზე, რომლებიც დღეს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღების ცენტრშია. შოუს ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლა—მისი რადიო-საუბარი ამერიკელ მსმენელებთან იყო ყველაზე ლაკონიური რადიო-სიტყვა მსოფლიოში, იგი მხოლოდ ორი სიტყვისაგან შესდგებოდა: „დაეხმარეთ რუსეთს".

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მსმენელებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ინგლისელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პრისტლის რადიო-საუბრები.

ნართების ეპოსი

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში გამოუშვა ოსურ ენაზე უძველეს ოსურ თქმულებათა ციკლს კეთილშობილ და ვაჟკაც დევ-გმირებზე — ნართებზე.

ნართებზე თქმულებას ცენტრალური ადგილი უჭირავს ოსურ ფოლკლორში, სამხრეთ-ოსეთის ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ და შედგენილ ამ წიგნში მოთავსებულია 78 თქმულება. იგი წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ტომს, რომელიც 500 გვერდს შეიცავს და რომელსაც დართული აქვს 29 ფერადი ილუსტრაცია. წიგნი, რომელიც დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ჩასმულია ლამაზ ყდაში, აიწყო და დაიბეჭდა სამამულო ომის დღეებში.

თქმულება ნართებზე ითარგმნება რუსულ და ქართულ ენებზე და მალე გამოიცემა. ამ წიგნის ილუსტრაციების ავტორია ცნობილი ოსი მხატვარი — დამსახურებული მოღვაწე მუხტარბეკ ტუგანოვი, ნართების ეპოსის ერთ-ერთი აქტიური შემკრები. მ. ტუგანოვის სურათების, ნახატებისა და ილუსტრაციების კრებული გამოფენილია სტალინირის საბჭოთა სახლის ერთ-ერთ დარბაზში.

ამავე მხატვარს ეკუთვნის დეკორაციები და კოსტუმები სპექტაკლ „ნარტ ბატრადზ"-ისა, რომელიც სეზონის დახურვის წინ დაიდგა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ეს პიესა, რომლის ავტორიც არის ახალგაზრდა დრამატურგი მ. შავლოხოვი, წარმოადგენს ნართებზე თქმული ერთ-ერთი ლეგენდის ინსცენირებას. გმირობითა და ფოლკლორული ელემენტებით გამსჭვალული ეს საინტერესო სპექტაკლი დადგა ოსური სახელმწიფო თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა — რეჟისორმა და მსახიობმა ქალმა ზალიხან ჩაბიევამ. სპექტაკლის მუსიკა ეკუთვნის საქ. სსრ დამსახურებულ მოღვაწეს ორდენოსან ბ. გალაევს. სპექტაკლს მაყურებელთა შორის დიდი წარმატება აქვს.

ა. ფ.

„უკრაინელი ხალხის გმირები"

როგორც ქ. უფიდან იუწყებიან, უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირი სცემს წიგნების სერიას თემაზე: „უკრაინელი ხალხის გმირები". სერია შეიცავს მხატვრულ ნარკვევებს უკრაინელი ხალხის ისტორიულ და დღევანდელი დიდი სამამულო ომის გმირებზე. ამ ნარკვევებზე მუშაობენ ცნობილი უკრაინელი მწერლები და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები. უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები: „ნიკოლოზ შჩორსი", „ალექსანდრე პარხომენკო", „საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი რიდნი", „ტანკისტი შაშლო" და სხვა.

უკრაინის მწერალთა კავშირი სცემს აგრეთვე ახალი წიგნების ბიბლიოთეკას საერთო სათაურით „ფრონტი და ზურგი". ამ სერიიდან გამოვიდა ვანდა ვასილიევსკაიას „სიმღერები სამშობლოზე", მაქსიმ რილსკის „ცისკარი", ს. გოლოვანივსკის „შური იძიე, მეომარო!", ა. კორნეიჩუკის „ზამთრის ღამეში".

დავით გურამიშვილის განათლების ელემენტები

აკადემიკოსი კ. კეკელიძე

150 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც იმ დროს ჩვენთვის შორეულსა და უცხო უკრაინაში სამუდამოდ დახუჭა თვალები ქართული პოეზიის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა — დავით გურამიშვილმა. ტრაგიკული იყო ბედი ამ ადამიანისა, ბევრი მწარე ცრემლი აღვრევინა მას „დაუნდობელმა წუთისოფელმა". მოწამე სამშობლოს აფორიაქებისა და არევ-დარევისა, რამაც მას დაღესტნის ხრიოკებში ტყვედ ამოაყოფინა თავი, გადახვეწილი უცხო თემსა და ხალხში, რომლის არც ენა იცოდა და არც ზნეჩვეულებანი, მოშორებული დედის რძესავით ტკბილ სამშობლოს და ყველაფერს, რაც ძვირფასია ადამიანისათვის, ის სამოცი წლის განმავლობაში, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ლუკმა პურისათვის სხვას „მუხლთა მოეჯნებოდა". მოშხამული წარსული, უნუგეშო აწმყო ულმობლად უღრღნიდა გულს უთვისტომოდ გარდამავალ პოეტს. ყველაფერი სტანჯავდა მას, მაგრამ ყველაზე მეტად ის გარემოება აწუხებდა, რომ „არ იყო სწავლით კარგად ნაზარდი", რომ „ძლივს უსწავლია ან-ბან-გან-დონი". „ჩემსა ყრმობაში", ამბობს ის,

„სულ გარს მტრად გვადგა
თურქ-ყიზილბაში,
მით იკლო სწავლამა
ჩვენში, ლეკთ, დიდომა
წიგნნი წარტყვენნა.
დარჩნენ უწიგნო ბერ-ხუცები,
ჩემი დროს ყრმანი
უწვრთელ-უცები.
მე ამად შეწყობით,
გარჩევით, შეტყობით
ვამბობ ვერასა."

ცოდნას, სწავლა-განათლებას ის, როგორც ცნობილია, ყოველგვარ სიმდიდრეზე მაღლა აყენებდა; ცოდნა-განათლების უქონლობა მას კერძო ადამიანისა და მთელი ერის უბედურების მთავარ მიზეზად მიაჩნდა.

თვით დ. გურამიშვილი საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა შეუძლიან მონდომებულ ადამიანს გააკეთოს არახელსაყრელ პირობებშიც სწავლისა და ცოდნის შესაძენად. „დავითიანის" მიხედვით, რომელიც საუკეთესო და ერთად-ერთი წყაროა მისი ფიზიანომიის გასათვალისწინებლად, დ. გურამიშვილი არც ისე უსწავლელ და გაუნათლებელ კაცად გვეჩვენება, როგორც ის თვითონ გვიხატავს თავის თავს.

დ. გურამიშვილის განათლების მთავარი ელემენტი იყო ქრისტიანული რელიგია, რომელიც ჭარბად ასაზრდოებდა მის ასკეტიკურ-მისტიკურ სულისკვეთებას და მსოფლმხედველობას. რელიგიური ცოდნის საფუძველზე მას შეუმუშავებია მთელი რიგი დებულებები, მაგალითად, შეხედულება სწავლა-ცოდნისა და სიბრძნის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე პედაგოგიური პრინციპები დასაწყისს ღებულობენ ბიბლიურ წიგნებში, როგორიცაა „იგავნი სოლომონისნი" (III, 13-18, IV, 5-13, VIII, 11, 18, 19, XIII, 25, XV, 20, XVI, 16, XVII, 25, XIX, 1, 18, XXIII, 13-14, XXIX, 15, 17) და „სიბრძნე ისო ზირაქისა" (VI, 18-22, XVI, 4). აქედანაა ნასესხები სალებავები ლამაზი, მაგრამ ანჩხლი, ბოროტი და ქმრის მოღალატე ცოლის სურათის მოსახაზავად, ერთის მხრივ, და კეთილი, იდეალური, თუმცა „პირად ნასი" მეუღლე-დიასახლისისა იგავნი: (V, 18-20, VI, 24-32, VII, 13-20, XXI, 10-31, ის. ზირაქი: XXV, 18-29, XXVI, 1-27), მეორეს მხრით.

მეორე ელემენტი პოეტის განათლებისა არის ფილოსოფია, რომელსაც ის ეცნობოდა ქართულსა და რუსულ შრომებში. ერთ ადგილას პოეტი იგონებს ეპიკურს:

„ფილოსოფოსი ეპიკურ გვაუწყებს,
ამას გვპირდება:
აგაბულობის მყოფელი
აროდეს გაღარიბდება;
თუ კაცი ნდომას მიჰყვების,
მიდღეში არ გამდიდრდება,
როცა პატარას იშოვნის,
მერმე დიდს მაეკიდება."

„ქაცვია მწყემსში" მამა უმარტავს შვილს, თუ რა არის „ბედი". პოეტი, რომელსაც „ბედი" არა სწამს, ამბობს:

„შემთხვევითი არს და არა ბედი,
წყნარად მავალი, გინა მორბედი
რომ წანაწყდეს ლოდსა, გინა ოქროს ზოდსა
უეცრად კაცი."

როგორც ეს შეხედულება, ისე მისი დასაბუთება პოეტს ამოღებული აქვს ნემესიოს ემესელის თხზულებიდან „ბუნებისათვის კაცისა". ნემესიოსის აზრით, „ბედი" არის „იშვიათი" და „მოულოდნელი" შემთხვევა, ასე, მაგალითად, კაცი სთხრის ორმოს და წააწყდა საუნჯეს, ეს არის მოულოდნელი შემთხვევა, რადგან არც ის, ვინც ორმოს სთხრიდა, ფიქრობდა, რომ საუნჯეს იპოვნიდა, არც ის, ვინც საუნჯეს ჰფლავდა მიწაში, ირჯებოდა იმისათვის, რომ ის სხვას ვისმე ეპოვნა (ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 151-152). თავისი აზრის საილუსტრაციოდ ნემესიოსი ლაპარაკობს შემთხვევით ნაპოვნ საუნჯეზე, ხოლო დ. გურამიშვილი კაცზე, რომელიც შემთხვევით ოქროს ზოდს წააწყდა.

საყურადღებოა, რომ დ. გურამიშვილს შეთვისებული ჰქონია ბუნებისმეტყველების ელემენტებიც, ყოველ შემთხვევაში მას სცოდნია ქართა სხვადასხვა სახე. ასე „ქაცვია მწყემსის" შესავალში, სადაც აწერილია „ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა", მას ჩამოუთვლია: ევროსი, კეკია, ლიფსი, ზეფიროსი, ფუინიკსი, ბორია, ნოტოსი, არგესტი, აპილი, ეროასტი, თრასკე, ლივონტოს, აპილიოტი. შესაძლებელია, მან ეს სახელები საბას „ლექსიკონიდანაც" შეითვისა, მაგრამ აღნიშვნა მათი თვისებებისა რაღაც სხვა საბუნებისმეტყველო წყაროდან უნდა იყოს ამოღებული.

არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დ. გურამიშვილის მიერ გამოგონებული მანქანები — „წყლის ასამაღლებელი" და „წისქვილი", — გვითვალისწინებენ მის ალღოს მექანიკის დარგშიაც. მანქანების ნახაზები მას საკუთარი ხელით დაუმზადებია: „სხვას ვერვის ვანდე მოუპარლობის მიზეზითო", ამბობს ის. პირველი მანქანის დანიშნულებაა, უკრაინის ღრმად ჩავარდნილი და მდორე მდინარეებიდან წყალი ამოსწიოს ზევით სარიგაციო მიზნებისათვის. მეორე მანქანა მიზნად ისახავს — შექმნას ისეთი წისქვილი, რომელიც ადამიანს განთავისუფლებს ქარისა და წყლის ბუნებრივი კაპრიზებისაგან. თვისი მიერ გამოგონებულ მანქანებისაგან დ. გურამიშვილი დიდ სახალხო-სამეურნეო შედეგებს გამოელის, მაგრამ ვაი რომ საშუალება არ მოეპოვება მათი რეალიზაციისა!

საჭიროა, ჩვენმა სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციონ ამ გამოგონებას, შეისწავლონ — რა პრინციპებზეა იგი აგებული, ორიგინალურია თუ არა ეს პრინციპები, რა ადგილი შეიძლება დაიკავოს ამ გამოგონებამ იმ დროინდელ ტექნიკაში.

დასასრულ, დ. გურამიშვილის განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო ლიტერატურა. მშობლიური ლიტერატურის წარმომადგენლებს ის კარგად იცნობდა და ჯეროვნადაც აფასებდა. ტყუილად ხომ არ ამბობს ჩვენი პოეტი:

„შოთა მღერს, მეფე თეიმურაზ,
არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ
დაბლა ზილს მიეტკბურება;
ბესარიონ, ნოდარ, ოთარი,
ონანა ბანს ეუბნება,
დრიოდენ ყარან და მამუკა,
მე მსურის მათი ყურება."

ქართულის გარდა საკმაოდ იცნობდა იმდროინდელ რუსულ ლიტერატურასაც. „დავითიანი", რამდენადაც იმაში ჭარბადაა მოცემული პრაქტიკულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი დარიგებანი, განსაკუთრებით კი საოჯახო, ყოფა-ცხოვრებითი ხასიათისა, ენათესავება ლიტერატურის იმ ჟანრს, რომელსაც ეწოდება „დარიგება მამისა შვილისადმი", უფრო კი „მეოჯახეობა", კლასიკური ტერმინოლოგიით **„oeconomicus"** რუსულად **„Домострой"**. ამგვარი ჟანრის ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია, მას ჩვენ ვხვდებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე ანტიკურ ქვეყნებში (ქსენოფონტეს შრომა), შემდეგ საშუალო საუკუნეების ევროპაში. მოეპოვება ის რუსებსაც, მაგალითად, **„Поучение Владимира Мономаха"**, **„Домострой Сильвестра"** და სხვ. ქრისტიან ერთა ამ ჟანრის ლიტერატურას ბიბლია უდევს საფუძვლად, განსაკუთრებით სოლომონისა და ისო ზირაქის წიგნები. გურამიშვილის „მეოჯახეობის" თეორიაც უმთავრესად ამავე წყაროდან მომდინარეობს, თუმცა, ეჭვი არაა, ჩვენი პოეტი რუსულ **домострой** სა და მის მსგავს შრომებსაც იცნობდა.

ასეთია ელემენტები დ. გურამიშვილის განათლებისა. პოეტს არ მიაჩნდა საკმაოდ ეს განათლება. მიუხედავად ამისა, გურამიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი შეუძლია დაიკავოს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში.

დ. გურამიშვილი თავდადებული დამცველი და მქადაგებელია მთლიანი საქართველოს იდეისა, აბსოლუტისტური ხელისუფლებისა. ამასთან ერთად შეურიგებელი მტერია იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული გონებრივი და მორალური დაცემულობისა; ის ნამდვილი პატრიოტია, რომელსაც მწვავედ შესტკივა გული სამშობლო ქვეყნის სავალალო მდგომარეობისათვის, რომელიც ეძებს გზებს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ეს იდეები, მათი გამოსარჩლება უთუოდ პროგრესიული მოვლენა იყო ბნელეთით მოცულ ეპოქაში, განსაკუთრებით იდეია სიბრძნის, ცოდნის და სწავლა-განათლების აუცილებლობისა და მნიშვნელობისა, რომელიც მთავარი მოტივია გურამიშვილის შემოქმედებისა. რა ვუყოთ, რომ მისი პედაგოგიური სისტემა მაინცდამაინც შორს ვერ წასულა შემდეგი დებულებიდან:

„ნუ გენაღვლების სწავლაზე
ყრმის წკეპლის ცემით კივილი.
შენ გემეტების რად არა
ძე წრთვნაზე გასაწკეპლავად?"

ამას უკარნახებდა მას, და არა მარტო მას, არამედ მთელს მაშინდელ აღმოსავლეთის საქრისტიანოს, ბიბლიის შემდეგი დებულებანი: „ვინც კვერთხს ერიდება, მას სძულს თავისი შვილი, ხოლო რომელსაც უყვარს ის, გულმოდგინედ სცემს მას" (იგავნი, XIII, 25); „ნუ დაუტევებ ყრმას უსწავლელად, უკეთუ კვერთხითა სცე მას, არ მოკვდეს მისგან, რამეთუ შენ სცე მას კვერთხითა, ხოლო სული მისი იხსნა სიკვდილისაგან" (იგავნი, XXIII, 13-14) ამ დებულებას სხვადასხვა ვარიაციით ყველა ქრისტიანი ხალხი იმეორებდა ძველად. ნუ დაგვავიწყდება, მაინც შემდეგი გარემოება: დავითის თანამედროვეს, ცნობილი რუსი მწერლის ფონ ვიზინის (1745-1792 წ.) მიტროფანუშკა „недоросль"-ში გარკვეული წრისათვის დამაჯერებელი საბუთიანობით უარჰყოფს სწავლისა და განათლების საჭიროებას და პირზე დორბლმორეული იძახის: **„не хочу учиться, а хочу жениться!"**. ახლა ყური დაუგდეთ დ. გურამიშვილის ტლუ ბიჭს, მწყემსს: იგი მამას სთხოვს — გააცნოს გარდასულ დროთა ამბები და გაათვითცნობიეროს ის; მამა უარს ეუბნება, რადგან ასეთი თხრობა „ქორწილს მოგაცდენსო". გულნატკენი შვილი ეუბნება მას:

მამავ, მოვიცდი ქორწინებასა,
თუ კი მასწავლით რასმე მცნებასა;
რას ვაქნევ ცოლის რთვას,
ბრიყვს დამცინოდნენ თავს
სწორ-ამხანაგნი!"

ეს გარემოება გურამიშვილისა და მისი მწყემსის სასარგებლოდ ლაპარაკობს,

150 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჭირნახული ქართველი პოეტი გულში ჩაიკრა უკრაინის პოხიერმა მიწამ. რა იცოდა საფლავში სევდით მიმავალმა მხცოვანმა მგოსანმა, რომ ის გახდებოდა წინამორბედი იმ ძმობა-კავშირისა და კულტურული ურთიერთობისა, რომელიც დღეს, **ლენინისა** და **სტალინის** ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, დამყარებულია უკრაინასა და საქართველოსა, და საერთოდ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის! ამ ურთიერთობის გამომხატველია ის გარემოება, რომ უკრაინის კეთილშობილმა ერმა ის სიყვარულისა და მზრუნველობის საგნად გაიხადა, ისევე, როგორც თავისი საკუთარი მგოსნები, იქამდის, რომ იგი მზად იყო დღევანდელი დღე საქართველოსთან ერთად მასაც საზეიმოდ აღენიშნა. კაცობრიობისა და კულტურის მტრებმა, გერმანელმა ფაშისტებმა არ დააცალეს ეს. ფაშისტთა ურდოები უკრაინის მიწა-წყალთან ერთად სტკეპნიან და ბილწავენ ჩვენი პოეტის წმიდა საფლავსაც, ისე, როგორც წაბილწეს მათ რუსი ხალხის სიამაყის, უდიდესი მწერლის ლევ ტოლსტოის საფლავიც. „მაგრამ ნურავინ შეიყრის თავისის ნებით სნებას", — ამბობდა ჩვენი პოეტი.

ჯერ კიდევ 1757 წელს გაერთიანებულმა რუსულ-უკრაინულ-ქართულმა ჯარმა, დავით გურამიშვილის უშუალო მონაწილეობით, როგორც თვით პოეტი ამბობდა, პრუსიის ან „ბრუსის კოროლს შეურყია ტახტის სვეტი". მალე, ძალიან მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც გაერთიანებული საბჭოთა ხალხების ძლევამოსილი არმია, წითელი არმია, რომელიც შესდგება რუსებისაგან, უკრაინელებისაგან, ქართველებისაგან და სხვებისაგან, არა თუ შეარყევს პრუსიულ-გერმანული ფაშიზმის სვეტს, არამედ საბოლოოდ დაამხობს მას. მაშინ ჩვენ — უკრაინელები, ქართველები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები ერთად ჩავსძახებთ განსვენებულ მგოსანს საფლავში: „გაუმარჯოს საქართველოს", რომელმაც გშვა და ძუძუ გაწოვა შენ, **„Хай живе Украина"** რომელმაც შეგიტკბო და საუკუნოდ განგისვენა შენ!

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ჭულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7681